სამშობლო

წ. I 1915 წ. — კვირა 19 აპრილი

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთი [illegible] ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერ[illegible] 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 61 — ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — № 61

ეროვნული ბიბლიოთეკა

"სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა".

ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ს ა მ შ ო ბ ლ ო"

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

გაზეთი ღირს:

ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი—7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო".

ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.

ნიკოლოზ კირილეს ძე რაზმაძე აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ დღეს, 19 აპრილს, დილის 12 საათზე ქ. ქუთაისში მთავარანგელოზის ტაძარში გადახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი მისი დაუვიწყარი და ძვირფასი მეუღლის

ნადეჟდა დიმიტრის ასულის რაზმაძის

სულის მოსახსენებლად.

1—1

მეუღლე აზნ. გაბრიელ ერმალოზის ძე შოთაძე დედა, ირინე ლევანის ასული ჯანგავაძისა, მამამთილი ერმალო დავითის ძე და დედამთილი დარია სიმონის ასული შოთაძენი, მაზლი ვალერიან და რძალი პეპა, მუოლები: მარუსია, პელაგია, ანიჩქა და თამარა შოთაძენი, დები სონა ბეგბიაშვილისა, მაშო კუპატაძისა, ნადია ჟვანიასი, ძმა და დები, შალვა, თამარა და ლარისა მეთოდეს ძე და ასულნი ჯანგავაძეები, სიძეები: ივანე სიმონის ძე ბეგბიაშვილი, ნესტორ პორფირეს ძე კუპატაძე, ბესარიონ ეგნატეს ძე ჟვანია და პროკოფი სიმონის ძე გეგენავა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს უდროვოთ გარდაცვალებას

ნინა მეთოდეს ასულის შოთაძისა.

პანაშვიდები ყოველდღე საღამოს ექვს საათზე ივანოვის ქუჩაზე საკუთარ სახლში. დაკრძალვა მოხდება კვირას 19 აპრილს, საღამოს 4 საათზე, საფიჩხიის სასაფლაოზე. კერძო წერილები არ დაიგზავნება. 2—2—165

დუნდუას პროფესიონალური შკოლა ამით აცხადებს, რომ კვირას 19 აპრილს, ადგილობრივ საკათედრო ტაძარში წირვის შემდეგ, 12 საათზე გადახდილ იქნება პანაშვიდი განსვენებულის

ნიკო თ. მკურნალის

სულის მოსახსენებლათ და სთხოვს განსვენებულის ნათესავთა, მეგობართა და ნაცნობთ პანაშვიდზე დასწრებას. უფ.

წარმოდგენა დაკლებულს ფასებში

ქუთაისის თეატრი

ქართველ მსახ. ამხანაგობის მიერ, კვირას, 19 აპრილს, წარმოდგენილი იქნება ისტორიული პიესა ვალ. გუნიასი მეგრელთა ცხოვრებიდან.

დ ა—ძ მ ა

5 მოქ. და 6 სურათად.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე. **ფასები დაკლებულია.**

რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი. ადმინისტრატორი გ. ურუშაძე.

ანონსი: ა. ყალაბეგიშვილის საბენეფ. მზადდება გ. ერისთავის „ყვარყვარე ათაბეგი".

უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია

კ. ი. ოცხელის და ამხ. ქუთაისში

ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.

კ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში მოიპოვება ყოველ გვარი **სახელმძღვანელო** და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე გვერდით გამართულია **ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა**, სადაც მოიპოვება ყველანაირი სამოსწავლო საკანცელარიო ნივთები.

კ ა ტ ა ლ ო გ ე ბ ი უ ფ ა ს ო თ — თ.

დაიბეჭდა და იყიდება **კ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში** (ქუთაისში)

„Н О В О Е С Л О В О"

ახალი პირველდაწყებითი სახელმძღვანელო რუსული ენისა, მრავალად დასურათებული, ლექსიური განყოფილებით, რუსული ანბანით, კითხვისა და წერის სავარჯიშო მასალით, შედგენილი ს. ოცხელის მიერ.

თვ. **ფასი ყდით 2 აბაზი.**

ელექტრო-თეატრი **„რ ა დ ი უ მ ი.**

ორშაბათიდან 20, 21 და 22 აპრილს მხოლოთ სამი დღით! არაჩვეულებრივი პროგრამა.

I. გარყვნილი დედის ქალი.

კინო-დრამა 4 მოქ. ცნობილი მსახიობ ქალის ცხოვრებიდან; სცენარიუმი კნ. ბებუთოვისა (ა. სუვორინის თეატრის მსახიობი ო. გ. გურიელი). უმთავრეს როლს შეასრულებს გამოჩენილი მსახ. ქალი ნატალია ივანეს ასული ტამარა. მონაწილეობენ პეტროგრადის გამოჩენილი მსახიობნი: ი. მაფესი, ცნობილი მსახიობი ქალი ს. ჩარუსსკაია, ოპერეტის მსახ. ქალი ი. ი. დიმიტრიევისა და სხ. ამ სურათის შესახებ საქები ცნობა მოათავსეს შემდეგმა გაზეთებმა: „Бирж. Вѣд." № 14591, „Вечерн. Вр." № 98, „Петроград. Газ." № 4, „Нов. Вр." № 13944, „Петроград. Лист." № 4.

II სამხედრო ქრონიკა. — **III. პერემიშლის ალყა რუსის ჯარის მიერ.**

საზღვარ-გარ. ჯარების მოქმედებიდან.

პროგრამის გარეშე: სამადლობელი პარაკლისი წითელ მოედანზე პერემიშლის აღების გამო.

ანონსი: ხუთშაბათიდან, 23 აპრილიდან, ნაჩვენები იქნება სენსაციური სურათი 4 ნაწ. **„ომი და მშვიდობიანობა"** ლ. ტოლსტოის რომანიდან.

ზედამხედველი კომიტეტი ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო მიხეილის ბანკისა

ქუთაისში, ბანკის დებულების 89-ე პარაგრაფის თანახმათ, საყოველთაოდ აცხადებს, რომ ბანკის რწმუნებულთა მორიგი ჩვეულებრივი კრება დანიშნულია ქალაქ ქუთაისში ბანკის შენობაში, 1915 წლის 17 მაისს, დილის 10 საათზე. კრება, 89-ე პარაგრაფის შენიშვნის თანახმათ, კანონიერათ ჩაითვლება, მიუხედავათ იმისა, თუ კრებაზე რამდენი რწმუნებული დაესწრება. რწმუნებულთა კრებაზე გასარჩევია შემდეგი საქმეები:

1) 1914 წლის ანგარიში ზედამხედველი კომიტეტის, გამგეობისა და დამფასებელი კომისიის მოხსენებებით;
2) გამგეობის მოხსენება 1914 წლის ბანკის მოგების განაწილების შესახებ;
3) ბანკის მოსამსახურეთა საპენსიო კასის ანგარიში;
4) გამგეობის მოხსენება ბანკზე დარჩენილ მამულების გამო;
5) გამგეობის მოხსენება ბანკის დებულების ზოგიერთი პარაგრაფის შეცვლისა და შევსების შესახებ;
6) 1915 წლის ხარჯთაღრიცხვა და
7) გამგეობის წევრის ერთი კანდიდატის არჩევა.

ექიმი ი. ჩარეიძოვი ქალაქის საავთმყოფოს ორდინატორი. **განახლდა** კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ანალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

ექიმი **გაბრიელ იოს. ბოკიელის ელექტროლისა და სინათლის კაბინეტი.** შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

კბილის ექიმები

მენაღარიშვილი & ტრუფანოვა.

დროებით ბათომიდან გადმოსულნ ქალ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 9—1 და საღამოს 4—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.

გამოცდილი რუსი

მასწავლებელი ქალი

სპეციალისტი რუსულსა და მატემატიკურ საგნებში ამზადებს ეგზამენებისა და ხელმეორე გამოცდისათვის ყველა კლასის მოსწავლეებს. მისამართი: ძველი თბილისის ქუჩა, სახლი ცნობილაძისა ბინა მასწავლებელ ფიოლკოვისა. 5—5

НУЖНА

учительница въ семьѣ въ отъѣздъ Гагры для подготовки дѣтей, въ возрастѣ 9 и 10 лѣтъ. Вознагражденіе по соглашенію.

Справляться въ гостин. Франція, № 15, отъ 10 –1 час. дня.

Князь Эмухвари.

2—1—168.

ო მ ი

ბეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან.

აღმოსავლეთის ასპარეზი.

პეტროგრადი. 17 აპრილი. ოფიციალური. მთავარსარდლის შტაბისაგან. ნემანის დასავლეთით მთელ პირზე გერმანელების ჯარის მოწინავე ნაწილები შევავიწროვეთ. ოსოვეცთან წინა საღამოს სოფელ სოსნის რაიონში მტერმა ჩვენს პოზიციაზე იერიში მოიტანა, მაგრამ უკუგდებულ იქნა დიდი ზარალით. მტრის იერიშები პისსა და შკვას შუა ვახის ჩრდილოეთით და მდ. სმულევის მარჯვენა ნაპირზე მთელი, 15 აპრილის, განმავლობაში უნაყოფოთ გრძელდებოდა. 16 აპრილს, მძიმე არტილერიის ცეცხლის დახმარებით პისსა და შკვას შუა რაიონში მტერი თავის წინანდელ სანგარებს დაუბრუნდა. ედნოროეცთან, 15 აპრილს საღამოს, მტერმა დიდი ზარალი ნახა ოთხჯერ მოტანილ იერიშის დროს. სტაროეგებთან გერმანელების ჯარის შეტევა მოვიგერიეთ. მდ. ვისლის მარცხენა ნაპირზე მტრის ჯარის რამდენიმე ნაწილების ცდამ, რომ წინ წამოწეულიყვნენ, უნაყოფოთ ჩაიარა. გალიციაში გორლიცის რაიონში 16 აპრილს, წინა ღამეს მტრის რაზმის შეტევა მოვიგერიეთ. კარპატებზე პოლენთან, 15 აპრილს საღამოს, ავსტრიელებმა უნაყოფოთ მოიტანეს იერიში. უჟოკის უღელტეხილის ჩრდილოეთით კოპოლოვეცის ტყეში, 16 აპ-

დღეს რა მოხდა.

ოსმალეთის ასპარეზი:

ოლთისის გეზით რუსის ჯარის შეტევა წარმატებით მიდის. მოკავშირეთა სამი სამხედრო გემი სმირნის ყურეში შევიდა და ყუმბარებს უშენენ. ერთს ადგილას 8000 ოსმალლოა დატყვევებული. მოკავშირეთა ჯარი ენოსზე გადმოვიდა და რამდენიმე სოფელი დაიჭირა და მოტყუილებით ოსმალების ერთი პოლკი გასწყვიტა. 15 აპრილს, დილით, ყუმბარების დაშენა განახლდა.

დასავლეთის ასპარეზი:

იპსოვიჩ უნტონიეზე ცეპელინმა ყუმბარები ჩამოყარა. დანგრეულია სამი სახლი. გერმანელების ორი იერიში იპრიდან ჩრდილოეთით და ეპარჟთან მოგერებულია.

აღმოსავლეთის ასპარეზი:

ნემანის დასავლეთით მთელ პირზე რუსის ჯარი მტერს ავიწროებს. სოფელ სოსნის რაიონში მტრის იერიში მოგერებულია. პისსა და შკვას შუა მტერს უნაყოფო იერიშები მოაქვს. ედნოროჟცთან მტერი სასტიკათ მარცხდება. გალიციაში გორლიცის რაიონში მტრის შეტევა მოგერებულია. კარპატებზე პოლენთან ავსტრიელებს უნაყოფოთ მოაქვთ იერიში. სტრიის გეზით, გოლოვეცის რაიონში, რუსის ჯარმა 400 ჯარისკაცი და 7 ოფიცერი დაატყვევა. ადმოსავლეთ გალიციაში, ნადვორნის რაიონში მტერი არტილერიის ცეცხლით არის მოგერებული.

რილის წინა ღამეს ავსტრიელებმა კიდევ მოიტანეს იერიში, რომლებისთვისაც ჩვენ არ გვისროლნია და მავთულის ღობეებამდი მიუშვით. აქ ისინი ჩვენმა უეცარმა ცეცხლმა გაფანტა. სტრიისის გეზით, გოლოვეცის რაიონში შეტევაზე გადავედით და ხიშტებით 400 ჯარის კაცამდი და 7 ოფიცრამდი დავჭეხეთ და დავატყვევეთ. ადმოსავლეთ გალიციაში ნადვორნის რაიონში მტერი შეტევაზე გადასვლას შეეცადა, მაგრამ ჩვენი არტილერიის ცეცხლით შეჩერებულ იქნა.

დასავლეთის ასპარეზი.

ლონდონი. 17 აპრილი. დილა ადრიან იპსოვიჩ-უნტონიეზე ცეპელინმა და ჰაეროპლანმა ყუმბარები ჩამოყარეს. სამი სახლი დანგრეულია. ჯერ არავინ იცის ადამიანთა მსხვერპლი იყო თუ არა.

პარიზი. 17 აპრილი. საღამოს ოფიციალური ცნობა. დღემ მშვიდობიანათ გაიარა. 16 აპრილის წინა ღამეს გერმანელებმა ორი იერიში მოიტანეს: ერთი იპრიდან ჩრდილოეთით ბელგიის ჯარზე და მეორეც ეპარჟთან. ორივე იერიში ადვილად მოვიგერიეთ.

ლონდონი. 17 აპრილი. მტრის ჰაეროპლანებიდან იპსოვიჩზე რამდენიმე ჩამოყრილ ყუმბარებისგან სამი სახლი დაიწვა და ბერლესენტედმონსშიც სამი სახლია დამწვარი.

პარიზი. 17 აპრილი. დღის ოფიციალური ცნობა. ბელგიაში ჩვენ ბელგიის ჯართან შეერთებული ცნობილ არხის მარჯვენა ნაპირზე ჩრდილოეთის გეზით წინ მივიწევდით. 150 დავატყვევეთ და ორი ტყვიისმტყორცნელი ვიხელთეთ. მდ. მაასის მარჯვენა ნაპირზე და ვოგეზებზე ახალი არაფერი მომხდარა. მტრის ჰაეროპლანებმა ქალ. ეპარჟს გამნათებელი ყუმბარები დაუშინა. სარწმუნო ცნობების თანახმათ გერმანიის ცეპელინი, რომელმაც წარსულ კვირას დიუკირხენზე ყუმბბრები ჩამოყარა, ჩვენი არტილერიის ცეცხლით დაზიანებული, გრიუგენტთან მდებარე სოფელში ჩამოვარდა და დაიმსხვრა.

საკვირაო ფელეტონი.

იმერეთის ბოდვა.

მართალია, ამ ფელეტონს იმერელის ბოდვა ქვია, მაგრამ, თუ უკაცრავათ არ ვიყოთ, არც მართლა ისეთი სიცხე მაქვს, რომ უთავბოლოთ ვიბოდიალო და, თუ ღმერთისა და თქვენის წყალობით რედაქტორმა წითელი კარანდაში არ გაუსვ-გამოუსვა, მოგეცათ ღვთის წყალობა მე ისე ვიბოდიალო, რომ ზოგს მხრები ავაწევიო, ზოგს თვალებიც დავაპრაწიო. რომ დაიჭინო მართლა და იმერელია იმერელიო მერე რა? იმერელი რომ ვარ, რავა, ენის სიმკვირცხლე მაკლია, ვაქაცობა, მოხერხება, დანოსობა, თუ ჯიბეში მარკები მაკლია და ვერ გავაშვანშვალებ სუდებში თხოვნებს თუ! აბა რაა, რომ ცოტა სიბერეს არ ეწია ჩემთვის ამ ვოენობის დროს, ორს თუ არა ერთ წმინდა გიორგის ჯვარს მაინც მივიღებდი. რავა, ქვეყანა აფიცარი გახდა და მე თვალი მაკლდა, თუ ყური, თუ იმას ფიქრობთ, რუსული ლაპარაკი არ ვიცი!. უი, შე მამაცხონებულო! რამდენმა ახლა პრანპორჩიკობა მიიღო, იმდენი რუსული რომ იცოდენ თელი ჩვენი იმერეთი განათლებულ ქვეყნათ ჩაითვლებოდა. არა, ერთი მითხარი, პაჟალუსტა, ვოინობაში ყოფნა ჯობია, თუ ჩვენში ყოფნა, ვაინაში თოფს მაინც მოგცემენ ხელში, ესვრი ან მოკლავ ან მოგკლავენ, აბა აქანა ნახე! აბა, თუ ბიჭი ხარ და ჩვენს ვაჭრებს თელი ბათალიონი რომ დაასიო, აბა თუ რამეს უზამ...

რამეს ყიდვა რომ გინდოდეს პრაშენია უნდა გეკავოს ხელში მარკა დაკრული და, თუ წყალობა გიქნა და მოგიჭრა სპერანგე, ან საჩოხე, ან სხვა რამე თავი მიწამდის უნდა დაუკრა და მადლობა მოახსენო, რომ გაღირსოს დამპალი საქონლის შამოტყვილება. ფას ნუღარ იკითხავ. რავა დაუშლის ვინმე?... საყვედურს გაბედავ?. რასაც ბრძანებს, არ მიცემ. . მერე რას აპირობ?!.. იერე ტიტველი. კაი კი იქნება. ქალები ხომ ნახევრათ ტიტვლებია და ახლა ჩვენც დავიწყოთ და გამოვა ადამ-ევაობა. ტანსაცმელს შენი ჭირი წაუღია ერთი ხელი ხომ მაცვია და ამ ვოინობის გათავებამდი, გარეცხვას არ ვაღირსებ და გაწმენდას რომ არ გაცდვეს და ისე რავა არ მეყოფა... შენ თქვი, კუჭს რა ვუყო? ეს ოხერი რომ გათენდება, იმ ჩაის მომგონი ამოაგდო ღმერთმა... მომინდება ჩაი, მერე რა, დალევა არ გინდა?... შაქარს ვერ იშოვი; თუ იშოვე, ვაი იმისთანა შონას, უნდა ჩადგე ოჩერედში და როცა თლათ დაგეკარგება მადა-ჩაის დალევის, გაღირსება ერთი გირვანქა შაქარი, ფას ნუღარ კითხულობ,.. თუ გაბედე და წამოგცდა ძვირიაო, მერე გამეეთხოვე ჩაის. ვიფიქრე დავანებებ ამ ოხერ ჩაის თავს და ყოველ დილას ზაკუსკით გამოვსტრიკტიკინდები მეთქი... ეს კიდო ვარესი შეიქნა, თუ ჭამე მარტო ჭადი და ლობიო ხომ გათავდი კაცი, თუ მოგინდა ხორცეული შენს მტერს იქაც თხოვნები და მარკები, თვარა სადაა ხორცი... ჭამოს კაცმა მარტო პური?... დღეში ორი ოყა მაინც უნდა, არც ეყოფა, რავა ეყოფა შენი ჭირიმე! რამდენი უსაქმო კაცი ჩვენ ქეთაისში ბულვართან დადის თელ დღეს ქაქანით, რომ მოშივდება იმას ორი ოყა ეყოფაო?!.. ორ ოყას, ექვსი შაური უნდა და როცა დღეში ექვსი კაპიკი შამოსავალი არა გაქვს და შენ სიცოცხლეს მარტო სიარულში ატარებ, რა უნდა ქნა!.. ჰო! და! მარტო არშიყობა რომ გამაძღებდეს, მოგეცა ღვთისა და ბატონის წყალობა მე იმის მეტი არაფერი არ გავაკეთო, რავა არაა საარშიყო თუ?..

ეძიებდე და იპოვიდეო, ენატრიდე და აგისრულდესო. გაგიგონია?.. დავიღირე თავი ვეძიე და ვეძიე, არ მოგეცეს ჭირი ვერსად სიგლახის მეტი ვერაფერი მე ვერ ვნახე, ინატრიდეო... კი ბატონო, იცოცხლე მე ვინატრე და ეხლაც ვნატრობდე. ჯერ ვინატრე, ღმერთო ქართველი კაცი ამრავლეთქვა... დასწყევლოს ღმერთმა ჩემი ნატვრა... ასრულების მაგიერ სულ ყველა წყდება... მერე რაცხა უბედურათ ერთი კარგი ლექსი წავიკითხე ქართველი პოეტის ნაწერი. არიქა, ღმერთო. ქართველი პოეტები ამრავლეთქო, ქე არ დავიღუპე კაცი? იმრავლა, მარა რა იმრავლა, ვინ გინდა პოეტი არ გახდა... რაც ჩვენთვის მავნებელია ჩემი ნატვრით ის ქე ასრულდა და რაც სასარგებლოა, არ მოგეცეს ჭირი!

ახლა ვნატრობ: ორას არშინ პირკალს (სულ ერთია, თუ გინდა დამპალი იყოს), ას არშინ მაუდს, ათ ფუთ შაქარს, ათ ეაკლულ ძროხას, ას ოყა პურს და ათას შტუკა პაპიროსს. ეს რომ ამისრულდებოდეს, იცოცხლე ერთი კვირის განმავლობაში მე ფულიანი კაცი შეეიქნე... მარა, ა! არ მინდა არა, დავიღუპები კაცი, იმ წამში მომიტაცებენ, გადღუზიებენ ტყეებში თავს, მიდი და იდღუზურე ტყეებში, სანამდი იმ შენ მონაგებს არ გამოგაცლიან ხელში. ვინც მეიტაცეს ყველა მადლიერი შეიქნა, ზოგმა თქვა: ძალიან სუქანი ვიყავი და მადლობა ღმერთს სიარულით ქონი დავყარეო, ზოგმა თქვა საჭმელ-სასმელი უხვია, მოვლა უკეთესი არ შეიძლებაო. იმ მამა ცხონებულს ქონის დაყრა თუ უნდოდა ეთქვა ჩემთვის ათას მანეთად როგორც ძვლები, ისე გავხდიდი, იმდენს ვუბაყუნებდი და 15 ათას მანეთად ხომ ლანდი აღარ დარჩებოდა მი!ი. მეორემ ორმოცდა-ათი ათასი მიცაო და სასმელ-საჭმელი და მოვლა უკეთესი არ შეიძლებაო. სულ ერთი თვე მოუარეს. მე კი შენი ჭირიმე, ორმოც წელიწადს შევინახავდი ისე, რომე ბუზს არ მივაკარებდი. ის მამაცხონებულები სულ რომ ამ ათასებიანს იტაცებენ მე ვერ მომიტაცებენ, რომ ერთი თვე მაინც მარჩინონ და მომიარონ, სანამდი ეს ვოინობა არ გათავდება! ერთი თვეა ჩაი არ მღირსებია და ხორცი თვალით არ მინახავს?!.

კაცო! ამ ხუმრობაში მართლა არ გაუწყრეს ღმერთი და არ მომიტაცონ, ჩემი საცოდაობით არ წეიწყმიდონ სული. რავარცხაა ქე დავეთრევი ჩემთვის და თვალ დაპრაწული ვადევნებ თვალ-ყურს ჩვენ ცხოვრებას. მარა იმდენ საოცრებას ვხედავ, აგერ-აგერ გადმომექაჩება თვალები. გუშინ ერთმა ჩემმა კარგმა ნაცნობმა მითხრა: „ფილიპე ჩემო! რომ დაგიწყვია უკან ხელები და დადიხარ, წამოდი ჩემთან, ერთ ალაგას წაგიყვან, უკეთეს სანახავს ვერ ნახაო". მე უთხარი, მათ მამაცურ და მხნე მოქმედებისათვის. ბევრი ილაპარაკა გერმანიისა და ავსტრიის ჯართა სოლიდარულ [illegible] ჩერნოვიცაში ვილჰელმი ორი ოყა დარჩა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყუმბარა დასთვალა, რომელიც ნახევარ საათის განმავლობაში მძიმე ზარბაზნებიდან იყო გადმოსროლილი. დილის ექვსის ნახევარზე, 15 აპრილს, ყუმბარების დაშენა კვლავ განახლდა.

სხვა და სხვა ამბები.

(პეტროგრადის დეპ. საგენტოსაგან.)

ტოკიო. 17 აპრილი. პეკინში გავრცელებული ხმები იაპონიის განზრახვის შესახებ ჩინეთს ცინდაო დაუთმოს, მართლდება. სამაგიეროთ იაპონია ჩინეთისაგან მოითხოვს ყველა თავის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. იაპონია ცინდაოში მხოლოდ საკომერციო ნავთსადგურს იქონიებს, სადაც იაპონიის სელმწიფის დაწესებულება იქნება. ფოშტა-ტელეგრაფი და სადამოქონო იაპონიის განკარგულების ქვეშ დარჩება. გერმანიის შენობები, რკინის გზები შანდუნში იაპონიის საკუთრებათ ჩაითვლება. გაზეთი „იამატო" მთავრობას ურჩევს რაც შეიძლება ევროპაში მალე გაგზავნოს ჯარი. იმ პირობით, რომ იაპონიასა, საფრანგეთსა, ინგლისსა და რუსეთს შორის კავშირი მოეწყოს. იაპონიის ქურუმთა თათბირი გაიმართა. ჩინეთი თავის პასუხს იაპონიის პირობებზე სამ დღეს დაადგვიანებს.

რომი. 17 აპრილი. მეფემ სონინო მიიღო. „სტამპა" ავსტრიასა და იტალიის შორის მოლაპარაკების შესახებ სწერს, რომ მოლაპარაკება ჯერ ისევ გრძელდება და ერთნაირ დასკვნისთვის ვერ მიულწევია. როგორცა სჩანს უთანხმოება შეუძლებელია. საქმის ვითარება სხვანაირათ დატრიალდებოდა, თუ რომ ავსტრია თავის აზრს გამოიცვლიდა.

ლონდონი. 17 აპრილი. თემთა პალატა მაკნამარას შეკითხვაზე იძლევა რა პასუხს, აღწერს ინგლისში მყოფ გერმანიის წყალქვეშა ნავების ტყვე აფიცრების ცხოვრებას. ისინი ცალ-ცალკე ოთახებში არ იმყოფებიან. წერილების მიღებისა და დაწერის ნება ეძლევათ. პაპიროზის წევა შეუძლიათ. ჩვეულებრივ ტყვეთა თანაბრით საჭმელი ეძლევათ. დღეში $2^1/_2$ შილინგი ეძლევათ. არ ამუშავებენ. ტყვე ჯარის კაცებს აფიცრების მოვლა-მსახურების ნება ეძლევათ.

სტოკჰოლმი. 17 აპრ. ბუდაპეშტიდან ცნობაა, დეპუტატთა პალატას ატყობინებენ ლანდშტურმის კანონპროექტის შესახებ მომხდარ მსჯელობის გამო. უნგრეთის პრემიერმა და სამხედრო მინისტრმა სიტყვა წარმოსთქვეს. უკანასკნელმა აღნიშნა, რომ დღევანდელ ომში ყველა მეომარ სახელმწიფოებიდან გაყვანილ ლაშქართა რიცხვი 26 მილიონს უდრის, რომლის ნახევარიც ბრძოლის ველზეა გასული.

სტოკჰოლმი. 17 აპრილი. გაზეთის ცნობით შვეიცის გემები, დატვირთული ხორბლით, სიმინდით, ქვანახშირით და ჩენჩოთი, რომლებიც შვეიცის ნავთსადგურებისკენ მიდიოდენ, გერმანიის წყალქვეშა ნავებმა დაიჭირეს და სვინემიუნდს გგზავნეს.

ქურნალ-გაზეთებიდან.

ინგლისის სამხედრო ძალა.

„რუსკია ვედომოსტს" ლონდონიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ თემთა პალატაში ლოიდ ჯორჯის მიერ წარმოთქმული სიტყვა ნათლათ ახასიათებს იმ გიგანტურ მუშაობას, რომელსაც ინგლისი აწარმოებს დღევანდელ ომიანობის დროს. ომის დაწყებისას, ინგლისი მზათ იყო კონტინეტზე გაეგზავნა ჯარის 6 დივიზია, ამ ჟამათ კი საფრანგეთში მას ყავს 36 დივიზია, ე. ი. დაახლოებით 750000 ჯარისკაცი.

სამხედრო სურსათის დამზადების შესახებ ლოიდ ჯორჯმა განაცხადა, რომ მას ამჟამათ ამზადებს 3000 ფირმა. ამის გამო ინგლისს შეუძლია ზედმეტი სამხედრო სურსათი თავის მოკავშირეებს მიაწოდოსო. მარტო ნევშაპელთან ბრძოლის დროს ინგლისმა იმდენი ყუმბარა დახარჯა, რაც მას ბურებთან მთელი ომის დროს დაჭირდაო.

ომის მიზანი და რეიხსტაგის ვიცეპრეზიდენტი.

„ბირჟევია ვედომოსტს" ატყობინებენ, რომ ნაციონალ-ლიბერალური პარტიის ბელადმა, ვიცეპრეზიდენტმა დოკტორმა პააშემ 9 აპრილს კრეიცნახში წაკითხულ საზოგადო მოხსენებაში, სხვათა შორის, განაცხადა:

„ყველა გერმანელის გულში მტკიცე რწმენაა გამეფებული, არავითარ შემთხვევაში არ დაუთმონ არავის გერმანელების სისხლით აღებული ტერიტორია. ჩვენ უნდა გავმაგრდეთ არხთან ანგლისელების საწინააღმდეგოთ, თუნდ ამისთვის საჭირო გახდეს ყველაფერი თავიდან დავიწყოთო. გერმანელები მოითხოვენ აგრეთვე აღმოსავლეთისკენ ჩვენი საზღვრის გაფართოებას, რომ ამით უზრუნველ იყვენ რუსეთის თავდაცემისაგან. კალამმა არ უნდა დაფუშოს ის, რაც ხმალმა მოიპოვეთ. ჩვენ არ შეგვიძლია სამშობლოში დამშვიდებით ვიმუშაოთ იმ დროს, როდესაც სხვებზე ბატონობა ინგლისელებისა და ფრანგების ხელში იქნება, ჩვენ კი მომწყვდეული ვიქნებით როგორც ციხეში.

ჩვენ გეგმაში არ შედის მთელი ქვეყნის ერთ სახელმწიფოთ გადაქცევა, მხოლოდ დაპყრობილი ტერიტორიებით კი აღმოსავლეთსა და დასავლეთისაკენ უნდა მოვიპოვოთ საშუალება, რომ მთელის მკერდით თავისუფლათ ამოვისუნთქოთო".

იმპერატ. ვილჰელმი ჩერნოვიცაში.

ამავე გაზეთს კიევიდან ატყობინებენ: სხვადასხვა წყაროდან მოსულ ცნობებით მტკიცდება ხმები ვილჰელმის ჩერნოვიცაში ყოფნის შესახებ.

ჩერნოვიცაში ვილჰელმი მისულა ავტომობილით, დაუთვალიერებია ჯარი და სიმაგრენი. დათვალიერების შემდეგ ვილჰელმმა შეკრიბა აფიცრები და მოუწოდა

სეპარატიზმი და რუსეთის სოციალდემოკრატია.

წარსულ თვეში ცნობილმა ს. დ. ემიგრანტმა გრ. ალექსინსკიმ „სოვრემენი მირში", მოათავსა სტატია, რომელსაც სახელათ „პროვოკაციაზე" უწოდა და რომელმაც დიდი ყურადღება მიიქცია. თუ დაუჯერებთ ავტორს, წერილი მართლაც საინტერესოა: იგი გვისურათებს, თუ როგორ მოინდომეს რუსეთის მტრებმა—ავსტრო-უნგრეთმა და სხვებმა, ესარგებლათ რუსეთის ქვეშევრდომ ზოგიერთ პატარა ერების ვითომ სეპერატისტული მისწრაფებით და ამ მიზნით მოაწყვეს ორგანიზაცია, რომელიც პირდაპირ „პროვოკაციას" ეწევა, რომ რუსეთის ქვეშევრდომი ერები თავისივე სახელმწიფოს წინააღმდეგ აამხედროს და მათში აჯანყება გამოიწვიოს, რომ უფრო ნაყოფიერათ იმოქმედოს და მიზანს მიაღწიოს, მტერი (ავსტრია, გერმანია, ოსმალეთი) ამისთვის ცდილობს იმ პარტიების სახელით გამოვიდეს, რომლებსაც რუსეთის ხალხში სახელი და გავლენა მიუპოვებიათ.

რასაკვირველია ამ პარტიათა შორის მთავარი ყურადღება მტრისა რუსეთის სოციალდემოკრატიისაკენ არის მიმართული, ვინაიდან ფიქრობენ, რომ დაჩაგრული ერების „სეპარატიული" (!) მისწრაფება სოციალდემოკრატიამ თუ გაიზიარა, მაშინ საქმეც გაიჩახრება და მასიური მოძრაობა, სახალხო აჯანყებაც მზათ იქნებაო.

მაგრამ მტერი შესცდა: მას დაავიწყდა, რომ მარქსიზმი ერის სეპარატიზმს—პოლიტიკურად განცალკავებას—უარყოფს და ერთა „სოციალურ ფართე ასოციაციას" ემხრობა; ამიტომ რუსეთის დაჩაგრული ერების ორტოდოქსალური სოციალდემოკრატია ყოველთვის უარმყოფელია სეპარატიზმის.

თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ სოციალდემოკრატთა შორისაც არიან ისეთები, რომლებიც დაჩაგრულ ერთა სეპარატიზმს თანაუგრძნობენ და ბევრი მათგანი ცალკე ნაციონალისტურათ მოაზროვნე ჯგუფს ადგენს. მაშ რას მოწმობს ცნობილი „ბუნდისტების" ისტორია და პროგრამა, თუ არა ამ აზრს?

ქართველებსაც ხომ გვყავს რამდენიმე „ცნობილი მარქსისტი" ნაციონალისტურათ მოაზროვნე? მათ ცალკე ორგანოც დაუარსებიათ და „ახალ აზრების" ქადაგებას შედგომიან. მაშ რატომ არ შეიძლებოდა, რომ უცხოეთში მყოფ ქართველ სოციალდემოკრატებისთვისაც მიემართა რუსეთის მტერთა „ორგანიზაციას" და მისთვის თანაგრძნობა და მხარ ს დაჭერა ეთხოვა?

უკან ხელები მიტომა მაქვს დაწყობილი, რომ თუ ჯიბეში ჩავიყავი ხელი, ვიცი არაფერი ამომყობა-მეთქი და უკან იქნება შენისთანა მეგობარმა ჩუმათ ხელში ჩამიდვას რამე-მეთქი.

— უი შე მამაცხონებულო, მათხრა, მე სულ წინა მაქვს გლახასავით გაშვერილი ხელი, პირდაპირ ვთხოვ და არავინ არაფერი მომცაო და შენ ჩუმათ ვინ მოგცემსო, აი წამოდი ჩემთან კლუბში და ნახე რა ფული ტრიალებსო.

— რავა, იქ არიგებენ ფულს თუ-თქვა?

— რა ვიცი, მითხრა. ეს უსაქმო ხალხი, ვისაც აქ ხედავთ, იქ რომ მივლენ ყველას ფული აქვსო. გამიკვირდა, შევეხვეწე დღეს არა და იმ კვირაში წამიყვანე და ფულს თუ ვერ ვიშოვი, იქნება მომმავალი საკვირაო ფელეტონისათვის მასალა შევაგროვო-მეთქი.

აბა ნახე სეირი თუ კლუბის ფერხულში ჩაება ეს ბიჭი. ბევრი ლაპარაკი არ ვიცი, არც ბანქოს თამაში ვიცი გარდა დურაჩკობიასი და კონჩინისა, მომცემენ რამეს, ხომ კარგი, არა და, გამოვახოხრიკებ იმერულათ საკვირაო ფელეტონში, თუ რედაქტორმა მომცა ნება, თუ იმანაც მისუსტა და გაწყრა..... უკაცრავათ, მარა მე მაინც მისი მოსიყვარულე დავრჩები.

ამ პირველ კვირას ეს კმარა, შემდეგ კვირისათვის კი ვეცდები განვაგრძო ეს ჩემი ბოდვა.

დავშთები ისევ ფილიპე ბარბაქაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიახ, შეიძლებოდა და მიუმართავს კიდეც, როგორც ამას გრ. ალექსინსკის სტატიიდან ვტყობილობთ, მაგრამ უცხოეთის ქართველი სოციალდემოკრატები ორტოდოქსები აღმოჩნდენ და „ორგანიზაციას“ სეპარატიზმის უარყოფით უპასუხეს.

ხოლო სტამბოლელი კორესპონდენტი ნიუიორკის (ამერიკის) მარქსისტულ გაზეთში სწერს თურმე. „სტამბოლში ისეთი პირებიც აღმოჩნდენ, რომლებიც თავისთავს უკრაინის და საქართველოს ნაციონალისტ-სეპარატისტებათ თვლიან და ვითომ უკრაინის და საქართველოს გასანთავისუფლებლათ ოსმალეთის და გერმანიის მთავრობებთან კავშირს იჭერენ“.

ეს ცნობა ძალიან ჰგავს ამას წინათ პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოს ცნობილ დეპეშას, რომელიც ქართველების სეპარატისტობას შეეხებოდა და რუსეთისადმი ქართველთა ერთგულებას საეჭვოთ ხდიდა.

არ შეგვიძლია არ შევნიშნოთ, რომ გრ. ალექსინსკიც ამ შემთხვევაში ზემოხსენებულ სააგენტოს რწმუნებულის როლს ასრულებს, როცა ვიღაც სტამბოლელ კორესპოდენტის ცნობას, სადღაც, შორეულ ამერიკის ქალაქის ერთ უცნობ გაზეთში მოთავსებულს რუსეთში გავრცელებულ ცნობილი დიდი ჟურნალის (სოვრემენი მირის) ფურცლებზე ამჟღავნებს.

ხსენებულ სტამბოლელ კორესპოდენტის წერილში,—ალექსინსკის გადმოცემით,—უკრაინელთა და ქართველთა სეპარატისტობაზე არის ლაპარაკი: უკრაინელთა სეპარატისტობა კიდევ ჰო, მარა ქართველთა „სეპარატისტობაზე“ კი დღემდი არავის არაფერი გაუგონია და არც დაწერილა; მართალია საქართველოში მოქმედებს ფედერალ-ავტონომისტთა დასი, ისიც მართალია, რომ ქართველ სოციალდემოკრატთა შორის „ეროვნული იდეალების“ მაძიებელი ჯგუფიც არის; მარა ყველა ეს მხოლოდ იმას მოწმობს, რომ დაჩაგრული გრი, რა პირობებშიაც უნდა იყო იგი, მაინც თავდაცვის გზას ადგია და ყოველთვის ამის შესაფერ პოლიტიკას აწარმოებს.

ყველაფერი ეს მარქსისტ გრ. ალექსინსკის კარგათ უნდა სცოდნოდა და რუსეთის „დაჩაგრული ერების“ სეპარატისტობაზე წერით და ავსტრია-გერმანიის „პროვოკატორული“ მოქმედების „საბუთების“ გამოააშკარავებით თავი არ უნდა შეერცხვინა. მაგრამ ეტყობა გრ. ალექსინსკი სხვარამით ყოფილა გატაცებული, რომ ყველაფერი ეს დავიწყნია. ან კი რა საკვირველია ეს, როცა დღეს მსოფლიო ომმა ყველა ქვეყნის სოციალდემოკრატთა შორისაც დიდი არევ-დარევა გამოიწვია და აზრთა უთანხმოება დაბადა: ალბათ ალექსინსკისაც გზა კვალი თუ აერია, რუსეთის იმპერიის ერთობრივობის წყურვილმა გაიტაცა და თან ამავე დროს თავის ამხანაგს პირადი ანგარიშიც გაუსწორა.

ის თავის წერილში სხვათა შორის ცნობილ პარვუსის იმ პროკლამაციას გვაცნობს, რომლითაც მას რუსეთის სოციალისტებისა და რევოლიუციონერებისათვის მიუმართავს, რომ „ევროპის დემოკრატიას“ დაეხმარონ რუსეთის დასამარცხებლათ. „ევროპის დემოკრ.“ სახით პარვუსი პრუსიელ იუნკრებს, უნგრეთელ მაგნატებს და ოსმალეთის ფაშებს გულისხმობსო, სწერს ალექსინსკი.

ცხადია აქ ალექსინსკის პარვუსის დამცირება მოუნდომებია, თორემ როგორ წარმოვიდგინოთ, რომ ალექსინსკიმ თითქო არ იცის, რომ პარვუსი პრუსიის იუნკრებს „ევროპის დემოკრატიას“ არ დაუძახებ; უნდა ვიფიქროთ, რომ ალექსინსკი განზრახ ამახინჯებს პარვუსის აზრს, რომ იგი ნაკლებ მიმზიდველი იყოს: ან მას პარვუსის პოზიცია—რუსეთის დამარცხება სჯობია ევროპის დემოკრატიისათვისო—არ მოსწონს და რუსეთს ესარჩლება. გრ. ალექსინსკიმ პარვუსთან ერთათ თავისი თანამემამულე, თავისი თანამოაზრე ლენინიც გაიმეტა და იმასაც ცუდათ იხსენებს.

როგორც ომამდეც ისმოდა, ის ლენინის წინააღმდეგ წინადაც იყო ამხედრებული და მის დასამცირებლათ არაფერს ზოგავდა; არა, ეს არც საკვირველია და ადვილი ასახსნელიც არის. ჩვენ მხოლოთ ის გვაფიქრებს, თუ რუსის მარქსისტი პარვუსის წინააღმდეგ რამ აღაშფოთა და ასე დასამცირებლათ რათ გაიმეტა იგი? ნუ თუ მხოლოდ იმიტომ, რომრუსეთის მტრების „პროვოკატორულმა“ ორგანიზაციამ პარვუსის პროკლამაციით რუსეთის წინააღმდეგ ისარგებლა და მისი საშუალებით უკრაინელთ ასაჯანყებლათ მოუწოდა?

ცხადია, ამ მოტივსაც მისთვის დიდი მნიშვნელობა ექნებოდა, რის გამოც მან თავის წერილში „უკრაინელ და ქართველ ნაციონალისტ-სეპარატისტების“ შესახებ „დოკუმენტი“ მოათავსა, მარა თავი და თავი მიზეზი იმაში უნდა იყოს, რომ ომის საკითხში იგი პარვუსის პოზიციას არ ეთანხმება, ვინაიდან რუსეთის ინტერესებს ყველაფერზე მაღლა აყენებს: „ევროპის დემოკრატიასაც“ ივიწყებს და რუსეთის ქვეშევრდომ ერების ეროვნულ მისწრაფებებსაც!

აი რატომ არის, რომ ამ ერების ნაციონალისტები და მათ შორის, ქართველებიც, რუსეთის სოციალდემოკრატთა ლიდერებს სამშობლოსადმი გულგრილობას სწამებენ და მათი პროგრამის ეროვნულ მოთხოვნილებას მხოლოდ „ლათაიებათ“ ცნობენ!*)

დ—ელი.

წერილი გრძოლის ველიდან.

(წერილი პირველი.)

ძვირფასო დათ ს!

მოგიკითხავთ და გისურვებთ ყოველივე სიკეთეს რაც ცის ქვეშ მოიპოვება თქვენი ამხანაგ-მეგობარ-კეთილებით. თქვენი ბარათი მივიღე დღეს, რისთვისაც დიდი მადლობელი ვარ. მე კარგად ვარ, ცუდათ ყოფნას არ ვაპირებ, ასე რომ შოთას სიტყვებს სრულიად განვიცდი. ში—ეს შემეცნება სრულიად არ არსებობს. სხვა კითხვების გადაწყვეტა მომავალს მივანდე. გრძოლის ველი, ტვვრის სისინი და ყუმბარების სული სიმაგრის გარდა სხვა გრძნობებს არ იწვევს, რათ ხდება ასე? არ ვიცი. თავისუფალი გრძოლიდან საათები მხიარულად მიმდინარეობენ. ჩვენ ჰოლკს, რომელიც მესამე არმიაში იმყოფება ავანგარდში უხდება ხშირათ ყოფნა. მაშასადამე, გრძოლაშიაც, მარა დანაკლისი მოპირდაპირესთან შედარებით ყველა გრძოლაში ძალიან ცოტაა. სულ რვა გრძოლაში 300 კაცი დაგვაკლდა, 40 მოკვდა, 150 დაიჭრა და დანარჩენი დაიკარგა. ამ დღეებში ერთი დიდი სიმაგრის აღება მოგვიხდება და მაშინ კი გალიცია სრულიად დაპყრობილი იქნება. თუ რა შედეგი მოყვება მომავალ, ძლიერ საინტერესო სამხედრო თვალთახედვის ისრით, გრძოლას, თუ ცოცხალი დავრჩი, სიამოვნებით მოგწერთ. ლვოვის, გალიჩის, იაროსლავისა და „რავა-რუსკაიას“ აღებაში პირადათ მომიხდა ყოფნა, რაც ჩვენდა სასარგებლოთ დამთავრდა; ვნახოთ რა იქნება შემდეგ! სულის-კვეთება ჯარში საუცხოოა. ნემცების საქციელი ძალიან გვაკვირვებს ყველას. განსაკუთრებით მათი მოქცევა ტყვეებსა და ავათმყოფისადმი. ხშირია შემთხვევა მათი მხრიდან ენის მოჭრის, თვალების დათხრის, რისი მოწმე მე პირადათ ვიყავი. ჩვენები იმათთანებს ლმობიერათ ეპყრობიან. დანარჩენები შემდეგ.

თქვენი ვ.

გალიცია, 16 სექტემბერი.

წერილი მეორე.

ძვირფასო დედავ!

მოგიკითხავთ და გისურვებთ ყველას ჯანმრთელობას და ბედნიერ ცხოვრებას. მე კარგათ ვარ. ჩემს წერილებს მალე მიიღებთ. დროებით ამასწინათ წერილების გზავნა შევაჩერე, რადგან ყოვლად შეუძლებელი იყო და მასთან მდგომარეობა გამოურკველელი და არაფერი სასიამოვნო. ეხლა შედარებით უკეთესს პირობებში ვართ, დიდი გადასვლების და აქა-იქ პატარა შეტაკებების მეტი არაფერი ხდება. თქვენგან წერილი ერთი თვეა არ მიმიღია და ეს გარემოება ძალიან მაწუხებს, ყოვლად შეუძლებელია თქვენი სიზარმაცის ბრალი იყოს ამდენი ხნის სიჩუმე. აქ ხმები გავრცელდა რომ ოსმალეთმა ოფიციალურათ ომი გამოგვიცხადაო. საინტერესოა დაწვრილებით მოიწერდეთ ყველაფერს, ოსმალეთთან ომი თუმცაღა საერთოდ რუსეთისათვის საშიში არ არის, მაგრამ ჩვენი ქვეყნისათვის დიდი უბედურება. გერმანიის სამხედრო გემები უსათუოთ მიეშველება ოსმალეთს და შავიზღვის ნაპირებს დიდ ზიანს მიაყენებს, აი რა არის სავალალო. (მან არ იცოდა, რომ ოსმალეთის ფლოტი უკვე რა მოდენიმე ჭალაქებს დაესხა, მათ შორის მის სამშობლო ქალაქს ფოთსაც) აქ ჩვენ ფრონტზე შეუწყვეტელი ომებია აქა-იქ, მაგრამ საქმე საერთოთ კარგათაა. დიდმა გრიგალმა რაც ოც-და ხუთი დღის შეუწყვეტელ ბრძოლაში გამოიხატა, თუმცაღა დიდი ზიანი მოგვაყენა, მაგრამ მაინც მტერის დამარცხებით დასრულდა. და აი, ახლა მტერს მივერეკებით შეუჩერებლივ და ლომის არის კრაკოვამდი ჩავსდიოთ. იქ კიდევ დიდი ომი მოგველის, რადგან კრაკოვი დიდი სიმაგრეა და ადვილათ მისი აღება შეუძლებელია. მე ძალიან ვწუხვარ თქვენი ამბავის უცოდინარობის გამო. არ ვიცი, რა მდგომარეობაში ხართ. თქვენ ვერ წარმოიდგენთ რა უბედურებაა ომი იმ ხალხისათვის, ვის მიწაზედაც იგი ხდება. თუ ღმერთი გაწყრა და მადიდან ოსმალეთი მოგვადგა, ვეცდები მადაურ ფრონტზე გადმოსვლას, თუ მოვახერხე, რადგან სამშობლოსათვის ბრძოლა ბევრად უადვილებს ადამიანს გაჭირვებების გადატანას. მე დარწმუნებული ვარ ჩვენი ხალხი ამ მოვლენას (ოსმალეთთან ომს) გულ-ხელ დაკრეფილი არ შეხვდება. დიდათ მადლობელი ვიქნები თუ ყველაფერს დაწვრილებით მომწერთ, და აგრეთვე ყოველდღე წერილის გამოგზავნას არ დაიზარებთ. აქ გაზეთებს ან სულ ვერ ვღებულობთ რამდენიმე კვირის განმავლობაში ან ერთი თვის შემდეგ მოგვდის, როდესაც ყველაფერი ინტერესი ეკარგება ძველ ამბებს. სხვა აქ ჯერ მშვიდობაა. მომიკითხეთ სიმონი ოჯახობით და სხვა და სხვა.

თქვენი. ვ.

გალიცია 30 ოქტომბერი.

ახალი ამგავი.

გუშინ ქუთაისში ჩამოვიდნენ ლეიბმედიკი რაევი, პროფესორი მიროტვორცევი ⁊ თფილისის ქალაქის თავი ხატისოვი; მათ უნდა ადგილობრივათ დაათვალიერონ წყალტუბოს წყლები, რომ იქ მოაწყონ ჯარისკაცთა საექიმო აბანოები. ქუთაისიდან მათ გაჰყვენ ქალაქის თავი ბ-ნი ილია ჩიქოვანი, ექიმი ტერტეროვი, დიმ. ნაზაროვი და საგუბერნიო ინჟინერი ავსარქისოვი.

✦ ქუთაისის საოლქო სასამართლოს უფროსი თავჯდომარე ბ. ფედოროვი, პეტროგრადიდან უკვე დაბრუნდა. როგორც ბ. ფედოროვი გადმოგვცემს პეტროგრადში უმაღლესი მთავრობა წყალტუბოში საავთმყოფოების მოწყობის საკითხს გულმხურვალეთ მოჰკიდებია.

✦ ქლექთან მებრძოლ საზოგადოების ქუთაისის განყოფილების კომიტეტის თავჯდომარის ამხანაგმა ექიმმა ხეჩინოვმა მთავარი კომიტეტის თავჯდომარის თავ. თუმანიშვილისაგან ცნობა მიიღო, რომ ქუთაისში წელს გვირილობა 20 აპრილისათვის მოეწყოთ. მაგრამ როგორც ქუთაისის კომიტეტმა დაადგინა წელს გვირილობა ვერ მოეწყობა. გვირილობის მოუწყობლობის მიზეზათ კომიტეტს ის აქვს, რომ მათ ამ ჟამათ თავჯდომარე არა ჰყავთ. ხაზინადარი, მდივანი, საქმის მწარმოებელი და რამდენიმე წევრი კი ომში არიან გაწვეულნი. კომიტეტი ამ ჟამად შესდგება სულ ოთხი კაცისაგან, რომლებმაც გვირილობის მოწყობა ჯერჯერობით უხერხულათ სცნეს. თუ გარემოებამ ხელი შეუწყოთ, გვირილობას შემოდგომაზე მოაწყობენ.

✦ გუშინ, 18 აპრილს, ქალთა წმ. ნინოს სახელობის სასწავლებელში გადახდილ იქნა პარაკლისი მეშვიდე კლასის მოწაფეებისაგან სწავლის დამთავრების გამო. პარაკლის დაესწრენ: მეშვიდე კლასის მოწაფეები, უფროსები, აღმზრდელნი და მასწავლებლები. პარაკლისის გადახდის შემდეგ მღვდელმა მიხ. ნაცვლიშვილმა მოწაფე ქალებს მშვენიერის სიტყვით მიმართა და უსურვა მათ გამარჯვება ცხოვრებაში.

სწავლა დამთავრებულთა სიას შემდეგ დავბეჭდავთ.

✦ ქუთაისის დრამატიულ საზოგადოების გამგეობას წელს თავის დასის მიერ წარმოდგენების მართვით შემოსავალი 12 ათას მანეთამდის ჰქონია, მაგრამ გამგეობას დეფიციტი აქვს.

✦ დღეს დ. ახალ-სენაკში გაიმართება ლიტერატურული საღამო რიმდენიმე განყოფილებათ. სალიტერატურო განყოფილებაში მონაწილეობას მიიღებენ: ი. ნიკოლაიშვილი, ვ. რუხაძე, მ. ანაზვილი და სხვა. შ. სანებლიძე წაიკითხავს ლექციას: „ახალი მიმართულება თანამედროვე ლიტერატურაში“.

✦ ორშაბათს, 20 აპრილს, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში მოხდება ფინანსიური კომისიის კრება, რომელმაც უნდა შეამოწმოს ქალაქის 1915 წლის სავარაუდო შემოსავალ-გასავლის ანგარიშები.

✦ მოსკოვის კომერციული ინსტიტუტის სამზრუნველო საბჭო სთხოვს ჭიათურის შავიქვის საბჭოს, გაუგზავნოს მას 1913 წლის შავიქვის წარმოების სტატისტიკური ცნობები.

✦ ხვალ, 20 აპრილს, ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილება გაარჩევს წელენჯიხის (ზუგდიდის მაზრა) მომრიგებელი მოსამართლის სამართველოს გაძარცვის საქმეს. ამ საქმისათვის პასუხისგებაშია მიცემული 6 კაცი.

✦ დღეს, დილის ათ საათზე, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში შესდგება მდაბიო მოქალაქეთა საზოგადო კრება.

✦ დღეს, ქართულ თეატრში წარმოდგენილი იქნება „და-ძმა“ ვ გუნიას მიერ გადმოკეთებული. მონაწილეობს მთელი დასი. ადგილების ფასი სახალხოა.

✦ „სახალხო ფურცლის“ გუშინდელ ნუმერში დაბეჭდილია მშვენივრათ დასაბუთებული წერილი ცნობილი პედაგოგის, თფილისის ქართული გიმნაზიის დირექტორის ალექს. ჭიჭინაძისა: „1914 წ. 1 იანვრის კანონის განხორციელების შესახებ“. ამ კანონის ძალით ყველა ერს შეუძლია მოაწყოს სწავლა-ცოდნა თავის სამშობლო ენაზე. ეს წერილი იმდენათ საყურადღებოა, რომ მას ჩვენი მკითხველებისათვის მახლობელ ნუმერში გადმოვბეჭდავთ.

თფილისი.

16 აპრილს, ღამით, თფილისის გარშემო მდებარე მთა-გორებში ჩამოთოვა.

— ქალაქის სამეურნეო კომისიამ დაადგინა, დაევალოს მსხვილ ყასბებს, რომ წვრილ ვაჭრებს თითო ფუთ ხორცზე 20 კაპ. დაუკლონ.

— სამეურნეო კომისამ გ. ნ. კეილის წინადადებით დაადგინა, აღძრას შუამდგომლობა, რათა სამუდამოთ დაკეტილ იქნას ის საყასბოები, რომლის პატრონებსაც ხორცის ძვირად გაყიდვისათვის ორ ოქმზე მეტს შეუდგენენ.

— ქალთა უმაღლეს კურსების საბჭომ თავის სხდომაზე 9 აპრილს მოისმინა სარგის კაკაბაძის განცხადება, რომ ის ლექტორობას თავს ანებებს, და ერთხმათ დაადგინა: დაბეჯითებით სთხოვოს კაკაბაძეს უკან წაიღოს თავისი განცხადება და განაგრძოს მოღვაწეობა უმაღლეს კურსებზე, ხოლო მსმენელთა ჯგუფს, რომელნიც მეცნიერული გამოკვლევის თავისუფლების წინააღმდეგ ამხედრდენ, სასტიკი გაკიცხვა გამოუცხადოს.

— 13 აპრ. საზ. „განათლების“ კრებაზე ქ. ან. თუმანიშვილ-წერეთლის თავმჯდომარეობით გადასწყვიტეს ისარგებლონ სამინისტროს ახალი კანონით და თფილისში გახსნან ქალთა ქართული სამასწავლებლო სემინარია. ამ სემინარიაში მიიღებენ პროგიმნაზიის მეოთხე კლასიანებს. სემინარიის პირველ გასახსნელ ხარჯათ საჭიროა 5000 მან., რომელსაც საზოგადოება გამოითხოვს წერა-კით. საზოგადოებისა და სათავად-აზნ. ბანკისაგან. სწავლის დაწყებას ენკენისთვიდან ფიქრობენ.

— **ს. პატარძეული.** ეს ორი თვე ძალიან წვიმიანი და მოსაცდენი იყო მუშა ხალხისთვის. დედამიწა ძალზე გაიჟღინთა და თუ კვლავ გაგრძელდა ასე—მოსავალს და ნათესობას—ცუდი შედეგი ელის.

— **ს. ხაშმი.** ამას წინად ადიდებულმა ოორმა იმსხვერპლა ამავე სოფლის მცხოვრები 18 წლის მუნჯი.

— **ს. სართიჭალა.** ივრის ხეობიდან დიდძალი „პოვოსკაა“ წასული ოსმალეთის ასპარეზზე. ამას წინედ ერთი ფულის მისალები კონტორა მონგრეულა და ღამსხვერპლია საწყალი ხალხი. ნაძსხვერპლ ხალხში ურევიან სართიჭალელები, პატარძეულელები, ბერთუბნელები და სხ.

ფოთის ავ-კარგი.

ქალაქის სამკითხველო, აგერ რამოდენიმე ხანია რაც ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების ფოთის განყოფილების ხელში გადავიდა სრულ კუთვნილებათ. 25 ოქტომბრიდან 1914 წ., სწორედ იმ საბედისწერო დღის შემდეგ, როდესაც ფოთს თათრების კრეისერი „ბრესლაუ“ ესროდა, ზემორე მოხსენებული სამკითხველოს კარები გამოკეტილია. ეს ერთად-ერთი კულტურული დაწესებულება ჯერ-ჯერობით განისვენებს, და, ვინ იცის, ალბათ ბევრ ლირსებით მის დაკეტილ კარებს ბილვას. საჭიროა ამ საქმეს ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ გამგეობის წევრებმა.

ქალაქის გამგეობა აგერ რამდენიმე ხანია შეუდგა თავის ტყეების ექსპლოატაციას. სჭრიან ტყეს მალთაყვის გზის პირად. მუშაობენ 250 კაცამდე უმეტესშევარნი, რომელნიც ეხლანდელ მდგომარეობის გამო უმუშევრად იყვნენ დარჩენილნი. ამზადებენ შეშას, ბოძებს, შპალებს და სხვას.

კვირას, 12 აპრილს, საკათედრო ტაძარში გადახდილ იქნა 40 დღის წირვა და პანაშვიდი ჩვენი დეპუტატის ვარლამ გელოვანის სულის მოსახსენებლად. მწირველი იყო ყოვლად-სამღვდელო ლეონიდი, რომელმაც ხალხს შესაფერისი სიტყვით მიმართა, ხალხი ბლომათ დაესწრო.

სამშაბათს, 14 ამ თვეს, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში დანიშნული იყო ხმოსანთა ჩვეულებრივი კრება. კრების გახსნამდი გადაიხადეს პანაშვიდი ვარლამ გელოვანის სულის მოსახსენებლად, რის შემდეგაც ახლად დამტკიცებულმა ქალაქის თავის (თანაშემწემ) მოადგილემ გ. ა. ტყემალაძემ ფიცი მიიღო თავის მოვალეობის პირ-ნათლად შესრულების შესახებ. ფიცის შემდეგ მოკლე, მაგრამ შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა იმის შესახებ თუ, რა გულით იღებს ის ამ ახალ თანამდებობას, და განუმარტა მსმენელებს თუ რას ემსახურება ის მომავალში ამ ადგილზე. როგორც გავიგეთ, აკაკის სალამოზე, რომელიც უნდა გაიმართოს 23 აპრილს, ლექტორათ მოწვეულია ბ-ნი დიტო უზნაძე, რომელსაც თანხმობა უკვე გაუცხადებია.

ფოთელი.

კოოპერაცია და მისი მოვავალი ჩვენში.

ნათქვამია „დრონი მეფობენ და არა მეფენიო“. დროის გავლენას ვერავინ წაუვა, ვერავინ გაექცევა. ასეთია მისი მომხიბლავი, მისი მომჯადოებელი ძალა, მისი გავლენა.

ჩვენ არაფრად ვაგდებთ წარსულ დროს, სიცილათაც არ გვყოფნის უკვე განვლილი ხანა, და დღეს ვერც კი წარმოგვიდგენია, თუ რაღაც 40—50 წლის წინეთ კაცი კაცისაგან, და ისიც ასი და ათასი ერთისაგან, ისე დამორჩილებული, ისე დამონებული იყო, რომ უნდოდა გაყიდდა, უნდოდა დაგირავებდა, უნდოდა გაამზითვებდა, ერთი სიტყვით ისე მოეპყრობოდა, როგორც დღეს რაიმე უბრალო ნივთს ეპყრობა თავისი პატრონი. მაგრამ წარსულს ვინ ჩივის, რომ მას რაც ჩვენ თვალწინ ხდება მაინც ვამჩნევდეთ, რაც ჩვენს გარშემო ხდება გვაკვირვებდეს.

ვინ არ იცის, რომ მუშა ხალხი დღეს სრული მონაა ფულისა, კაპიტალისა.

იმ დროს, როცა კაპიტალისტი, სოვდაგარი, ხელგაუნძრევლათ მუშა ხალხს ხელით ფულს იგებს, მილიონებს ჰკრეფს, ერთათ აქუჩებს, მისი მომგები მუშა ულუკმა-პუროთ რჩება მაშინ, როცა კაპიტალისტი ოქროსა და მარმალილოს სრასასახლეებში განცხრომას ეწევა, მათ შემქნელ მუშა-ხელს ნესტიანი სარდაფიც ენატრება და ქუჩაში სულსა ლევს. კაპიტალისტი თუ მისცემს მას სამუშაოს, ისიც ოდნავ მაინც მაძღარია, არა და მშიერია. ეს კი დამოკიდებულია მასზე, თუ მუშა აღმასრულებელია მისი ნებისა და სურვილის. თუ არა და სიახლოვესაც არ გაიკარებს მუშათა შორის კონკურენციის წყალობით, რადგანაც ამ გზით კაპიტალისტს საშუალება ეძლევა—არჩევანისა. ვინც არჩევანში არ მოხვდება, იმას კი შიმშილით სიკვდილი მოელის, სიკვდილი უწერია. აბა, მიბრძანეთ რითი ჩამოუვარდება ამ სახით მონობა ბატონყმობას, თუნდაც ძველის-ძველ მონობას?! მაგრამ ამას დღეს უმრავლესობა ვერ ამჩნევს და ეს მოვლენა ნორმალური ჰგონიათ მათ, გარდა ზოგიერთ რჩეულთა. რჩეულნი კი ალღოს უღებენ წინ და წინ ამა თუ იმ სოციალურ მოვლენასა და, შეძლებისა დაგვარათ, ზომებს წინ და წინვე ხმარობენ, რომ თუ თავიდგან ვერ ააცილებენ საზოგადოებას ამა თუ იმ მოვლენას,

მოითხოვდენ საკოოპერაციო სერმიას, თანხას. ამიგვარათ კაპიტალიზმის უაღრესმა განვითარებამ, მისი საწინააღმდეგო წამალიც,—თუმცა პოლიატიკური, მაგრამ მაინც საწინააღმდეგო—საშუალება გამონახა, მოიგონა. ამ ზომას ამ საშუალებას დღეს ჩამორჩენილი ერებიც ეტანებიან და მათ შორის ჩვენც,—და მერე როგორ ვეტანებით? ჩვენ, იქვე, ბატონყმობის ნანგრევებზე პირდაპირ კოოპერაცია გვინდა აღმოვაცენოთ ავაყვავოთ, მაგრამ, რადგანაც შეუძლებელის შეძლება ჩვენ არ ძალგვიძს, ჩვენში სოკოსავით აღმოცენებული კოოპერაციები ისევ მალე, გაზაფხულის თოვლივით ჰქრებიან.

ჩვენში ანგარიშს არ უწევენ იმ გარემოებას, რომ ჩვენ დღეს გადასვლითი ხანაში ვართ, რომ კაპიტალიზმის პირველ საფეხურზე ვიმყოფებით. ეს საფეხური, ეს ხანა ინდივიდუალური ხანაა. ამ ხანის ნიშნობრივი თვისება ის არის, რომ ასეთ ხანაში თითქმის ყოველი წევრი საზოგადოებისა თავისაკენ იქაჩება, თავისი ჯიბის ერთგულია.

გუშინდელი ყმა, რომელიც დღეს გაანთავისუფლეს ბატონის „მზრუნველობისაგან“ და ისიც უმიწა წყლოთ, ესე იგი უსახსროთ, რა გასაკვირველია თავისკენ იწევდეს, თავის თავზე ზრუნავდეს, მით უმეტეს, როცა მისთვის სხვა არ ზრუნავს.

დასავლეთევროპაში თვით კაპიტალიზმმა, მისმა განვითარებამ მოსპო ბატონყმობა; იქ ეს განთავისუფლება ქვევიდან მოხდა, რევოლიუციის საშუალებით, ჩვენში კი ზევიდან—რეფორმის სახით. მაშასადამე, დასავლეთმა ევროპამ, რომ ეს სამარცხვინო ულელი კისრიდან გადიძრო, გადიგდო, ზურგი გამაგრებული და ჯიბე გასქელებული ჰქონდა. ამგვარად იქ ეს განთავისუფლება ეკონომიურ ნიადაგზე მოხდა, აქ კი იურიდიულ ნიადაგზე. გუშინდელი ლატაკი დღეს გაანთავისუფლეს სიტყვით, უარარაოთ. ამიტომ რა გასაკვირველია, რომ ვინმემ, ამ მდგომარეობაში მყოფმა, გვითხრას: „ჯერ თავო და თავო და მერე მონაგონოო“ ისიც ჯერ თავისთავზე ზრუნავს, თავისთვის ფიქრობს, ისიც ცდილობს, წელებზე ფეხებს იდგამს ჯერ თვითონ რამეს გახდეს და მერმე სხვასაც არგოს. ამიტომაც ჯერ კიდევ ჩვენში გაბატონებულია პირადობა, პიროვნული უნარი. ასეთია თვისება ინდივიდუალური ხანასი! ჯერ კიდევ არ მისულა საზოგადოებრივი აზრი იმ ზომამდი, რომ საქმეთ აქციოს ის უტყუარი ჭეშმარიტება, რომ თუ ყველა მაძღვარი, ყველა დალხინებული იქნება, მეც მაძღარი, მეც დალხინებული ვიქნებიო. წინააღმდეგ, თუ ყველა მშიერი, ყველა გაჭირვებული იქნება, მეც გაჭირვებული და მშიერი ვიქნები. და მინამ ეს ასეა, არც უნდა გვიკვირდეს რომ, რომელიმე კოოპერატიული ამხანაგობა წაიქცეს, დაიღუპოს, რადგანაც ეს აუცილებელი მოვლენაა იმ ხანაში, რომელშიაც დღეს ჩვენ ვცხოვრობთ.

მაგრამ ამან არ უნდა შეგვაშინოს, გული არ უნდა გაგვიტეხოს და სასოწარკვეთილებაში არ უნდა ჩაგვაგდოს და არც ჩვენს გადაგვარებაზე, ჩვენს გადაშენებაზე გვაფიქრებიოს, რადგანაც ვინც ერთხელ პროგრესის გზაზე შედგება, ის უკან აღარ დაიხევს, თავს არ შეირცხვენს, არ მოკვდება. ვისაც კი ყურნი ასხია სმენად და თვალნი ხედვად, იმას გაგონილი და დანახული ექნება, რომ ჩვენი ერი შედგა პროგრესის გზაზე და წინ მიექანება.

კი, მართალია ჯერ ჯეროობით მსხვერპლი იქნება, ჯერ კიდევ ბევრი კოოპერატიული ამხანაგობა დაიღუპება, მაგრამ უმსხვერპლოთ არაფერი კეთდება. ვისაც ვარდი უნდა მოჭრიფოს, მან ხელიც უნდა გაიკაწროს უნდა გვახსოვდეს, რომ ამით ჩვენ შემდეგ ხანას ნიადაგს უმზადებთ, როცა კოოპერაცია, როგორც ევროპაში, ჩვენშიდაც გაიხარებს, ფესვებს გაიღებს, იხეირებს, აყვავდება. ამიტომ ამისთანა კრიტიკულ მომენტში, ამისთანა გადასვლითი თუ გარდამავალ ხანაში ყოველნაირ კოოპერატიულ ამხანაგობების დაარსებას და მათ არსებობას ხელი უნდა შევუწყოთ იმ იმედით, რომ ისინი, თუ დღეს არა, ხვალ მაინც ნამყოფს გამოიღებენ.*)

დე—ზი.

*) ეს წერილი, თუმცა ცალმხრივია, მაგრამ მაინც საყურადღებოა. **რედ.**

ქუთაისის სანიტარული რაზმი.

როგორც ვიცით, ამ დღეებში დათხოვნილ იქნა ქუთაისის მეოთხე და მეხუთე სანიტარული რაზმი. დათხოვნის მიზეზი კი არ იციან. უნდა აღენიშნოთ, რომ ასეთი მოულოდნელი დათხოვნით საგრძნობელი ზარალი ნახეს სანიტარული რაზმის წევრებმა. სახლიდან გამომგზავრება, აქ ჩაწერაზე ცდა, შემდეგ ჩაწერისა კიდევ კაი ხნის ლოდინი, სანამ ნამდვილათ ჩარიცხავდენ და საარტელო ხარჯზე მიიღებდენ,—რასაკვირველია, ყველ ეს ნივთიერ საშუალებას მოითხოვს და საცოდავებმა ნასესხი ფულები დაფლანგეს იქნებ ორიოდე გროში ავიღო, ლარიბ ოჯახს მოვახმარო და თან საზოგადო საქმესაც ვემსახუროვო, მარა იმედი გაუცრუვდათ...

საუბედუროთ, როგორც ხშირი შემთხვევაა დღეს ჩვენს დაწესებულებებში, აქაც თავი იჩინა ანგარებამ, და ისედაც გაჭირვების დროს ზოგიერთებმა დაძარცვეს გადატაკებული სოფლები. საზიზღრობაა მეტი რომ არ ვთქვათ! საჭიროების დროს მათ სახელს და გვარებსაც აღვნიშნავთ.

სანიტარული რაზმის წევრებმა, რიცხვით 300 კაცმა,—დეპეშით მიმართეს დ. გაგრაში პრინცს და სთხოვეს თითო თვის ჯამაგირები მაინც დაურიგონ მოტყუებულ რაზმელებს. **წიფნარელი.**

რა გვეშველება!

მინდა ორიოდე სიტყვით შევეხო იმას, თუ რა საშინელი უბედურობაც ტრიალებს შიგნით ამ ბოლო ხანებში. ყველაზე უფრო საგრძნობია ის, თუ როგორ აიშვეს ჩვენმა ვაჭრუკანებმა. დღიდან მსოფლიო ომის გამოცხადებისა, ჩვენი გაუმაძღარი ვაჭარ-ვაჭრუკანებიც ამოძრავდენ, ყოველ ნაწარმოებზე და, საზოგადოთ, საჭირო ნივთებზე ფასი გააასკეცეს; ერთი სიტყვით, მათს მადა-გახსნილობას როგორც დიდს ქალაქებში, აგრეთვე დაბა-სოფლებშიაც, საზღვარი არ აქვს და, ვინ იცის, რას არ ჩადიან! დიაღ, სწორეთ რომ მოხერხებულად სარგებლობენ ამ საერთო თავ-ზარდამცემი კრიტიკული მომენტით და ისედაც გაძვალტყავებულს საბრალო ხალხს ათასნაირად სძიძგნიან, შეუბრალებლად ძარცვავენ და უზომოთ ყვლეფავენ, დახმარების მაგივრად ჩვენი გაუმაძღარი ვაჭრები. მაგალითისათვის ავიღოთ, სხვათა შორის, შაბიამანი და წუმწუმა: თუ წარსულს წლებში ფუთი შაბიამანი ფასობდა თვრამეტ აბაზად და ოთხ მანეთს ზევით მაინც არასოდეს არ წასულა, დღეს კი ამ საქონელზე ფასი გახადეს თვრამეტი აბაზის მაგივრათ 18 მანეთი და მგონი ოცი მანეთიც კი! ნეტავ სადა აქვთ ამ აფთარგაუმაძღრებს სინიდისი და ადამიანური გრძნობა, როცა ასე ურცხვად იღებენ ფუთს შაბიამანში ოც მანეთს, კაპიკიდან წუმწუმაში 3—5 კაპ. და სხვა!! ნუ თუ არ წიოლდებიან ეს ვაჟბატონები, როცა ასე ულმერთოდ აფასებენ საქონელს?! ამის შემდეგ მათ კიდევ ნეტავ მოეპოებათ რა იმე ადამიანური ნიშან-წყალი? მაგრამ რას ვამბობ, განა მათ რაიმე ადამიანური სინიდისი და სიწითლე იციან ვაჭრობაში?! იმ ულმობელი ქანქარის უსაზღვრო სიყვარულით იგინი ხომ ყველაფერს ჩაიდენენ და, აი სწორედ ამიტომაც არის, რომ იგინი ასე მოხერხებულად სარგებლობენ დროთი და საცოდავ მცხოვრებლებს ულმერთოთ ყვლეფენ!! სწორედ ნუგეში და შემწეობაც ასეთი უნდა ამ საერთო გასაჭირის დროს!

მეორე მხრივ კიდევ სამწუხარო ის არის, რომ ამ უკანასკნელ დროს შანტაჟ-ქურდბაცაცებმა ერთობ გაახშირეს თავდასხმა და მკვლელობა ყველგან. ეს ყოველად ზნედაცემული, გახრწნილი ვაჟბატონები დაძრწიან სოფლად, ეცემიან მშვიდობიან მცხოვრებლებს თავს და, თუ ვერაფერი უნახეს გასაგლეჯი, სცემენ უწყალოდ და ზოგიერთებს კიდეც სიცოცხლესაც ასალმებენ; ზოგს კიდევ ემუქრებიან, თუ ამდენი და ამდენი არ დაამზადე ამ ხნის განმავლობაში ყველაფრით მოგსპობთ და სხვა!.. ამისთანა გახრწნილი ვაჟბატონების წყალობით 10 აპა თვეს ჩხარის საბოქაულოში მეტად შემაძრწუნებელი სურათი დატრიალდა: გლეხს—მაისურაძეს შეიარაღებული შანტაჟ-ავაზაკები, რიცხვით ცამეტამდის, ღამით დაეცენ თავს და, რომ ვეღარაფერი უნახეს წასართმევი, მისი უფროსი შვილი მოკლეს. საკოდავ მაისურაძეს ორი ვაჟის მეტი არა ყავს, ორივე წვრილი ცოლ-შვილიანია. უმცროსი უკვე ბრძოლის ველზეა გაწვეული საერთაშორისო ომში და მტერს თავს აკლავს, მეორეს კი 10 აპრილს, ღამით, გაუგმირეს ავაზაკებმა გული ტყვიით! თვითონ მამა მათი ძალზე ნაცემია და სიკვდილის პირასაა მისული. მაისურაძიდან ეს შანტაჟისტები წასულან და იმავე დროს მისს ახლო მეზობელს, კარგად შეეძლებულს გლეხს მაქსიმე გურულს დალხმიან თავს. გურულს ერთი ვაჟის მეტი არა ყავს. ავაზაკებს სახლისათვის ალყა შემოერტყათ. შვილსა და რძალს რაღაც იობლად გაესწროთ სახლიდან; სახლისთვის ყაჩაღებს ყოველის მხრივ ტყვიები დაეშინათ. მეზობლები ამ საზარელი ამბით გადაცვენილიყვენ სადღაც ღამის წყვდიადში. ბოლოს ქურდებს ჩაემტვრიათ კარები, შეცვენილიყვენ სახლში და ორივე მოხუცი საბრალო ცოლ-ქმარი მძიმეთ დაეჭრათ ტყვიებით; ეცემათ აგრეთვე პატარა შვილიშვილებისთვისაც. გურულს იმ ჟამად 50 მ. მეტი არ ქონოდა ხელში, მაგრამ ის მარტო აღარ წაეღოთ, მხოლოდ დაებარებიათ, უკეთუ ას თუმნად არ მოგითავებია ამ ორიოდე დღეში, დიდსა და პატარას ყველას მოგსპობთო და შემდეგ მიმალულიყვენ. იმ ღამესვე ჩხარის ბოქაული რამდენიმე მცველებით გამოუდგა ავაზაკებს, მაგრამ კვალს ვერ მიაგნო. მეორე დღეს, დილით ადრე, მთელი შორაპნის მაზრის ადმინისტრაცია მცველებით და აგრეთვე ჩხარისაც მივიდენ ადგილობრივ, სადაც მოხდა ეს საზიზღარი თავდასხმა და მკვლელობა და გამოძიებას შეუდგენ; მოედვენ აგრეთვე დაბა-სოფლებს, მაგრამ ყაჩაღ-ავაზაკების კვალი ჯერ კიდევ ვერსად ვერ აღმოაჩინეს. აი ასე თავისუფლათ იწყეს თარეში ამ ბოლო დროს ამ ყოვლად ზნედაცემულმულმა ბაცაცებმა და საცოდავ მცხოვრებლებს უბედურ დღეს აყენებენ! რა ვქნათ, რა გვეშველება? ვის მივმართოთ საშველად? ვის ცალია ყოველ დღე და ღამ ჩვენი ყარაულობა?!. არა, საშველი გზა მეტი არაა, ჩვენ თვითონ უნდა მოვუაროთ ჩვენს თავს, თორემ სხვისი იმედი ნუ გვექნება! და ამიტომ მოგმართავ ყველას, მშვიდობიანო მოქალაქენო, და, საზოგადოთ, სოფლის მცხოვრებლებო, რათა შეეერთდეთ ყველა, შეკავშირდეთ, ყოველივე მკაცრი ზომები მივიღოთ ამ ავაზაკ-ყაჩაღების წინააღმდეგ, ნუ შევუშინდებით იმათ მუქარას, ჩვენც შეერთებული ძალ-ღონით მამაცურად დავუხვდეთ მათ და მერწმუნეთ, რომ სულ მალე მოულებთ ბოლოს მათს ასეთს ვერაგულად თარეშს ყველგან და კვლავინდებურად დავუბრუნდებით ჩვენს ჩვეულებრივ მყუდრო ცხოვრებას, როგორც ქალაქად, ისე სოფლადაც.

ი. ძერულისპირელი.

ღია წერილი ბ. „დე—ზ“-ს

გაზ. „სამშობლოს“ 28 №-ში მე მოვათავსე ქართული გალობის შესახებ წერილი რომელშიდაც ვუსაყვედურე ამას წინათ მამა რაჟდენ ხუნდაძის ლოტბარობით შემდგარ ქართულ გალობის მოყვარულთა გუნდს საქმისადმი გულგრილობა და ვეკითხებოდი, **რა იყო მიზეზი ამ გუნდის დაშლისა.** ველოდი, რომ პასუხს მომცემდა ან თვითონ ლოტბარი, ან გუნდის რომელიმე წევრთაგანი. ერთხანს არავინ არ მიპასუხა, ბოლოს გამოჩნდით მოკამათეთ ამავე გაზეთის 47 №-ში მოათავსეთ თქვენი წერილი, რომელშიაც სამხმოვან ჩვენ ეროვნულ გალობას უწოდეთ „წუწუნი“, „ყვარ-ყორანის ჩხავილი“, „მომაკვდავი კაცის ხრიალი“ და „მკვდარი“, თან ჩემი წერილის შესახებ დაცინვით ბრძანეთ „წუწუნით გამოსთქვამს თავის უკმაყოფილებასო“ და სხვა... ვინც წაიკითხავს თქვენს წერილს, დამეთანხმება, რომ ამ წერილში აშკარად სჩანს უმადურობა ამ გუნდისადმი და ყოველ მკითხველს უსათუოდ ეპვი დაებადება, რომ ალბათ ასეთი ეპიტეტებით შემკობამ და უსასყიდლო შრომისათვის მადლობის მაგიერ უმადურობის გამოთქმამ თუ აიძულა მამა რაჟდენი თავი დაენებებია გუნდისათვის. მეც სრული უფლება მქონდა მეფიქრა, რომ ან ტაძრის კრებულის რომელიმე წევრთაგანია გუნდის ათვალწუნების მიზეზი, ან ლოტბარი, ან თვითონ გუნდის წევრები. აი რაზედ უნდა გეპასუხებიათ თქვენ, თუ იკისრეთ ჩემთვის პასუხის მოცემა და იცოდით მიზეზი. თქვენ არ შეგეხებოდა ჩემი წერილი, არც იყავით წევრათ გუნდში და მეტად გამიკვირდა, რომ გამოდით და დასცინეთ, როგორც ამ გუნდს, აგრეთვე მეც.

მე პიროვნების შეუხებლად, გავარჩიე თქვენი წერილი და შევეკითხე საზოგადოებას, **„ჩვენი გალობის გაევროპიელებამდი, როგორ მოვიქცეთ, რაც გვაქვს, ისიც გავაგდოთ ხელიდან მეთქი“**, თქვენ ამის პასუხად „სამშობლოს“ 58 ნუმერში მოათავსეთ კიდევ არა საკადრისი კოლოთი წერილი „ჩვენი უბადრუკობა“, რომელსაც პისარევის ნაწერებიდან ამოღებულ გაზეპირებული ფრაზებით იწყებთ და კიდეც დამცინით მით, რომ „მე იმისთვის ვწერ, რომ ვწერო მარტო, თორემ რასაც ვწერ, არ მესმის, რადგან „უბადრუკი“ ვარ და „говорю для процесса говоренія“, არც მეტი არც ნაკლები“.

თქვენთან კამათი მე არ მსურს, არც საკამათო არაფერი მქონია, მაგრამ თქვენ მაინც გადახტით საკამათო თემას და ლანძღვა დამიწყეთ, რაზედაც გიპასუხებთ, რომ შეიძლება პისარევის ფრაზები მშვენიერად შეეხებოდეს თვითონ თქვენს მოქმედებას. გალობა როგორი სჯობია, ამაზე მე არ მქონია ლაპარაკი; ეს სპეციალისტების საქმეა, ამას თავი დავანებოთ, ხოლო დაცინვისა და ლანძღვის კილოთი წერილებისათვის გიწევეთ საპასუხოთ; გთხოვთ აიხადოთ ნიღაბი და გამომყვეთ სამი დღის განმავლობაში დღიდან ამ წერილის დაბეჭდვისა, თუ თანახმა ხართ, მედიატორებს დავასახელებ ჩემის მხრით; განაჩენი დაიბეჭდოს ამავე გაზეთში; და თუ უარს მეტყვით, შემდეგ ვიტოვებ უფლებას მეც საკადრისი ეპიტეტებით შეგამკოთ, რადგან მეტად შემცდარი ბრძანდებით, თუ მე, როგორც სახალხო მასწავლებელი, დაბალ ლობეთ მიგაჩნივართ. *).

ლადო ბზვანელი.

*) ვწუხვართ, რომ კამათი პირადულ ელფერს ღებულობს. ალბათ კარგად ვერ ვადევნეთ თვალ-ყური მოკამათეთა წერილებს. შემდეგში უფრო ფრთხილად მოვიქცევთ.

იმედია, პირადათ მოლაპარაკების შემდეგ გაუგებრობა გამოიკვეცა. რედაქცია კი არც ერთ მხარეს ასეთ წერილებს აღარ დაუბეჭდავს.

რედ.

ღია გარათი.

„თანამედროვე აზრის“ რედაქციას

განუსაზღვრელ მადლობას გწირავთ, უმართლებულო და დაუსრულებელი ლანძღვისთვის.

პატივისცემით ნ. ჩხიკვაძე.

ჩემს ბრალმდებელს „ტ—უ“-ს.

თქვენ „თან. აზრის“ 36 №-ის მეორე წერილში, ვერ შესძელით ჩემი ბოროტი განზრახვის დასაბუთება, და რომ მაინც ფონს გასულიყავით, საზოგადოებისა და რედაქციისთვის თვალი აგეხვიათ, ახალი ბრალდება წარმომიყენეთ; თქვენ სწერთ: „სანამ „საღამოს“ მოაწყობდა ნოე ჩხიკვაძე, იგი მე და, რამოდენიმე სხვებმაც გავაფრთხილეთ, რომ სახელდახელოთ არ გაემართა და შარშანდელივით საზოგადოება შეცდომაში არ შეეყვანა“-ო. ჯერ ერთი, რომ შარშანდელ საღამოში, თქვენ აქტიურ მონაწილეობას ღებულობდით, (თითქმის სავსებით ინციატორობდით) და მეორეც ისა, რომ საღამო ეს შინაარსიანიც იყო და საზოგადოებაც ნასიამოვნები დარჩა; და თუ რა-მეს ეტყოდა ნელოვანი მონაწილე დაალდა, — უფლებას თქვენი წყალობით მოხდა, რადგან, თქვენვე დაიკისრეთ მისი მოყვანა.

საზოგადოთ იშვიათია, რომ „საღამოს“ ვინმე არ დააკლდეს და, თუ ეს მიუტოვებელია, ჯერ თქვენ თავს უნდა უსაყვედუროთ რადგანაც თქვენი ჯგუფის საღამოზედაც, ხშირათ დაჰკლებიან ხოლმე მონაწილენი! და შემდეგ, მე! მაგრამ დავუშვათ, რომ შარშანდელი საღამოსაც მე ხალხი შეცდომაში შევიყვანე, ამის საბუთი ხომ პრესაში უნდა ვეძიოთ? მაშ დავუგდოთ ყური თქვენსავე რეცენზიას: 1914 წლის „აზრი“-ს 85 №-ში სწერთ თქვენ ბ-ო „ტ—უ“: „შაბათს 28 ივნისს ქალაქის თეატრში ნოე ჩხიკვაძემ გამართა ლიტერატურული მუსიკალური საღამო. საღამო შინაარსიანი იყო.. დამსწრე საზოგადოება ნასიამოვნები დარჩა. წარმოდგენას ხალხი ბლომათ დაესწრო. არ სჩანდენ მხოლოდ მამულიშვილები“.

ვაი სირცხვილო!

93 №-ი „იმერეთი“ სწერს: 28 ივნისს ქალაქის თეატრში ახალგაზდა მგოსნის, ნოე ჩხიკვაძის საღამოს ხალხი ცოტა დაესწრო. საღამო შინაარსიანი იყო.

ლორთქიფანიძის რუსულ-ქართულმა სიმღერებმა კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მსმენელებზე“. თქვენ-კი, შარშანდელ პირადათ თქვენს და „იმერეთის“, ნაწერს განგებისათ აბათილებთ და ახალ მატყუარობის ბრალდებას მიყენებთ; სირცხვილი მაინც არ იცით?.

მეორე წერილის დასასრულს თქვენ ამბობთ: „რაც შეეხება ნ—ე ჩხიკვაძის კილოს, მე ამას არ შევეხები. დეე, ეს მისი „პოეზიის“ დამამშვენებლათ დარჩეს“. ჩემი „პოეზია“ თქვენი ხელის წამოსაკრავი არ არის, ხოლო ეს თქვენი ქვენა გრძნობები კი დარჩება „თანამედროვე აზრის“ დამამშვენებლათ. მე დარწმუნებული ვარ, ჩემ მიერ დაცლილ ადგილზე, (რათქმა უნდა არა მიმართულებით) თქვენ უფრო გაანათებთ.

„ხოლო სიბრალულის ღირსია ის გაზეთი, რომელშიაც ასეთი წერილები იბეჭდება“-ო,—ბრძანებთ თქვენ; ამაზე უნდა მოგახსენოთ: საბრალო ის გაზეთი კი არ არის, რომელიც ადამიანს საშუალებას აძლევს სიტყვის თქმისას, არამედ საბრალო და უბედური ის გაზეთია, რომელიც თავისი უბადრუკი რეცენზენტის გარდა არავის იცნობს.

ნ. ჩხიკვაძე.

რედ.-გამომც. **ი. თ. ცინცაძე.**

თ. ა. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიის საკუთარი გამოცემანი.

1) ნ. ნიკოლაძე. მამულის სიყვარული და მსახურება. . 20 კაპ.
2) დ. კარიჭაშვილი. ხუცური ანბანი, მეორე გამოც. . 20 კაპ.
3) მღ. პ. ცქიტიშვილი. ლოცვანი, პირველდაწყებითი სკოლებისათვის ფ. 10 კ., ყდით . . 15 კაპ.
4) ქართ. მოძრავი ანბ. ქაღ. 10 კაპ.
„იგივე, კარდონზე გაკრული 25 კაპ.
„იგივე ორ და სამ-კომპლექ. 50 კაპ.
5) ს. ყიფიანი, შაქარას ნაამბ. 3 კაპ.
6) Архим. Несторъ. Учебникъ Закона божія . . 20 კ.
7) ს. გორგაძე. საქართვ. ისტორია ნ. I ისტორიული ქარტით., მეორე გამოცემა . , . 35 კაპ.
8 ად. გარსევანიშვილის თხზულება: „Поэтъ Грузіи Акакій“ 10 კ.
9) კ. მაჭავარიანი: „Цѣлебные минеральные источники“ въ Кутаисск. губ.—ფ. 20 კ.

ძველი იმყოფება საწყობი შემდეგი წიგნებისა.

1) გუთანი, ოჯახსა და სკოლებში საკით. წიგ. შედ. ი. ოცხელისა. თ. მთავრიშვილისა და ს. ყიფ. მიერ, სურ., მესამე გამ., ყდით 85 კ
2) ს. ხუნდაძე. ქარ. გრამატიკა პირველდაწყ. შკოლებ. ყდით . 20 კ.
3) ს. რობაქიძე. სამშობლოს აღწერა, საქართ. გეოგრაფიის სახელმძღვანელო, ყდით . 50 კ.
4) არქ. ნესტორი (ყუბანეიშვილი) პირველდაწყებ. დარიგება საღვთო სჯულის სწავლებაზე . 30 კ.
5) ა. ხახანაშვილი. ბატონ-ყმობა საქართველოში . 50 კ.
6) კ. აბაშიძე. ეტიუდები მე XIX ს. ქ. ლიტერატურა შესახებ ტ. I. 70 კ.
7) მისივე. იგივე ტ. II.. 70 კ.
8) ი. შექსპირი. ოტელო, ჰამლეტი და მეფე ციმბელინი ყრმათათვის ნათარგმნი ს. ყიფიანისა . 20 კ.
9) მღ. ა. გერსამია. ლოცვანი, ფ. 10 კ., . . 15 კ.
10) ა. ჭიპინაძე. პირველდაწყ. ცოდნა გეოგრაფიისა ფ. 50 კ., ყ. 60 კ.
11) ნ. ნიკ ჩემ პოლიტიკაზე 10 კ.
12) ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. 2 ტ.—3 ვ.

რუსული ბ ქართული კატალოგები მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

ზამოვიდა და იყიდება

ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზიაში

თხზულებანი ჯაჯუ ჯორჯიკიასი.

ფასი 60 კაპ. **წ.**